საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #48

2021 წელი 20 აპრილი 13 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, ო.გრიგოლია,
ი. ჯიშკარიანი, ა.ხუჯაძე,
ქ.ჯოხაძე, ლ.დარახველიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტეის საკრებულოს ქონების მართვის და სფინანსო-საბიუჯეტო, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის წევრები.
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე და სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (წერილი: №12-03210576-03; 26.02.2021).

მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ ისაუბრა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“.

კომისიის სხდომის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ განსახორციელებელი პროგრამების კუთხით, რომელიც დაფინანსდა 1072,9 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ:

04 01 ბიზნესის სტიმულირება

2020 წლის გეგმა - 1029,4 ათასი ლარი დაფინანდა 888,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 86,3%-ია. : საანგარიშო პერიოდში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, მოეწყო საახალწლო გამოფენა-გაყიდვა „თბილისის საშობაო ბაზარი“, „Taste Tbilisi/დააგემოვნე თბილისის ქუჩებში“, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-ბაზრობა, გამოფენა-გაყიდვების სერია „თბილისური ბაზარი“, ინოვაციური იდეების კონკურსი დამწყები ბიზნესებისთვის (ღონისძიება - „Startup Week“). ჩატარდა კვლევა COVID 19-ის გავლენა მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესზე, შეხვედრები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან და სხვა. ასევე, ორგანიზება და ტექნიკური უზრუნველყოფა გაეწია შემეცნებით თამაშს „აღმოაჩინე ისტორიული თბილისი“; ევროკავშირის გრანტის - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში გაწეულია: ა(ა)იპ „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ მიერ გაწეულია მომსახურების ხარჯები, ბიზნეს აქსელერატორის საქმიანობის სარეკლამო მომსახურების და ბრენდირებული საქონლის შეძენის, ბიზნეს აქსელერატორისათვის სასმელი წყლის, ბეიჯის, სტიკერის, სერთიფიკატის, სავიზიტო ბარათების ბეჭდვის და ფაქსიმილიის დამზადების, დოკუმენტაციის თარგმნის, საკონსულტაციო მომსახურების, ფეისბუქის დიზაინის შექმნის და ვებ-გვერდის საძიებო სისტემის

რედაქტირების, შენობის გაგრილების სისტემის მიმდინარე შეკეთების და სხვა ხარჯები, მომზადდა 15 ბიზნეს გეგმა დამწყები და მოქმედი ბაზნესმენებისათვის, რომლის საფუძველზეც ფუნქციონირება დაიწყო ათმა საწარმომ; COVID 19 -ის პანდემიის გათვალისწინებით, ბიზნეს აქსლერატორ სპარკის მიერ შეიქმნა სამი მიმართულების პლატფორმა: Accelerate.ge, Touismmentor.ge და Findouttbilisi.com, რომელიც ქალაქში არსებულ მეწარმეებს იმ ციფრულ სერვისებს სთავაზობს, რაც მათი ბიზნესის განვითარებაში ეხმარებათ (აღნიშნული პლატფორმების გამოყენებით ბიზნესს საშუალება აქვს: დაჯავშნოს მენტორი, 179 გაიაროს ტრეინინგი, აიმაღლოს ცოდნა, განათავსოს პროდუქცია, შეხვდეს მომხმარებელს); წლის განმავლობაში ბიზნეს აქსელერატორ სპარკის სერვისებით ისარგებლა 1000-მდე ადამიანმა, ჩატარდა 48 დამხმარე ტრენინგი და ვორქშოპი, სადაც 600-მდე მსურველმა მიიღო მონაწილეობა, ჩატარდა 4 გამოფენა-გაყიდვის ტიპის ღონისძიება (მათ შორის 4 დამოუკიდებელი სამუშაო შეხვედრათა ციკლი, რომლებიც შეეხებოდა Amazon export და Etsy –ის პლატფორმების გამოყენებას);

04 03 თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები

2020 წლის გეგმა - 6,7 ათასი ლარი დაფინანდა 99.3%-ია. საანგარიშო პერიოდში გაწეულია განსხვავებული თემატიკის ტურისტული რუკების და ბროშურების "20 Reasons to love Tbilisi" დაბეჭდვის ხარჯები. აღნიშნული საპრომოციო მასალებით ხდებოდა თბილისის წარდგენა სხვადასხვა ადგილობრივ ღონისძიებებზე. რუკები გავრცელდა თბილისის მასშაბით კერძო კომპანიებსა და საჯარო სექტორში.

04 04 თბილისი – საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში

2020 წლის გეგმა - 31,1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით; საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა „ევროპის მთავარი ქალაქთა ქსელის" და "Delice Network"-ის საწევრო გადასახადი, სასაქონლო ნიშნის „თბილისური ბაზარი"-ს დაპატენტების ხარჯები. გარდა ამისა, თბილისის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს: პოლონეთის რესპუბლიკაში (ქ.ვარშავა) "CEE Business Services Summit & Awards"-ის მიერ გამართულ ღონისძიებაში, იაპონიის სამეფოში (ქ.ტოკიო) იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო JICA-ს მიერ მეწარმეობის განვითარებისა და ხელშეწყობის მიმართულებით, ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებისათვის გამართულ სასწავლო პროგრამაში. გასტრონომიული ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით, თბილისი გაწევრიანდა მსოფლიო კვებისა და გასტრონომიის პროფესიულ ქსელში - Delice Network

04 08 თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა

2020 წლის გეგმა - 242.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 140.2 ათსი ლარით, რაც გეგმის 57.9%-ია. საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს

ვირტუალურ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში - "World Travel Market london 2020", სათავგადასავლო თამაშში - „აღმოაჩინე ისტორიული თბილისი", ესპანეთის სამეფოში (ქ.მადრიდი) გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში "Internacional Tourism Fair – FITUR 2020", გიდების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში და კონკურსში - „საუკეთესო ევროპული საშობაო ბაზარი 2021" (თბილის ევროპის 10 საუკეთესო საშობაო მიმართულებას შორის დასახელდა (IX ადგილი); თბილისი გახდა European Best Destination - „ევროპის საუკეთესო სამოგზაურო მიმართულება 2020" (მესამე ადგილი); დედაქალაქის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით, ჩატარდა ახალი ვებ-პლატფორმის - www.findouttbilisi.com შექმნის შესახებ პრეზენტაცია (გასაყიდი არხების შექმნა ტურიზმის სექტორში მოქმედი კომპანიებისათვის); 186 ტურიზმის სექტორის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა ვებპორტალი - www.tourismmentor.ge, რომელიც ხელს უწყობს ტურიზმის სფეროში დასაქმებულ პირებსა და კომპანიებს დაძლიონ გამოწვევები და განახორციელონ ახალი პროექტები; შეიქმნა თბილისის საპრომოციო გზამკვლევი ჟურნალის - Here Magazine ონლაინ პლატფორმაზე (გზამკვლევი მოიცავს მერიის პროექტის „ვიტრუალური თბილისი"-ს (Virtual Tbilisi) და სხვა ტურისტული პროდუქტების შესახებ ინფორმაციას); საერთაშორისო ტურისტული საპრომოციო აქტივობების შედეგად კი დედაქალაქის და მისი ტურისტული პროდუქტების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ევროპის, აშშ, ჩინეთის მოსახლეობას; თბილისი დაფიქსირდა საერთაშორისო ტურისტულ რეიტინგებში „2020 წლის უსაფრთხო მიმართულებები", სადაც თბილისი ევროპის უსაფრთხო მიმართულებად დასახელდა COVID 19-ის თვალსაზრისით (I ადგილი); რეიტინგის და დედაქალაქის შესახებ სტატიები განთავსდა ისეთ საერთაშორისო გამომცემლობებში, როგორიც არის: Insider, Forbes, Vagabond, Conde Nast, Lonely Planet და ა.შ; გასტრონომიული ტურიზმის მხარდასაჭერად და თბილისის გასტროტურისტული პოპულარიზაციის მიზნით, სოციალური მედია კამპანია განხორციელდა ფრანგ ბლოგერ, იფლუენსერთან (limitlessecrets) თანამშრომლობით, ჩატარდა ქართული გასტრონომიული მასტერკლასების ვიდეო გადაღება მსოფლიო კვებისა და გასტრონომიის პროფესიულ ქსელთან - Delice Network-თან თანამშრომლობით (ქსელი უზრუნველყოფს მასტერკლასების ვიდეო ჩანაწერების გაავრცელებას ორგანიზაციის წევრი ქალაქების გასტრონომიულ სკოლებში), ჩატარდა „თბილისის გასტრონომიული კვირეული 2020", კვირეული მოიცავდა რიგი აქტივობებით დაკომპლექტებულ კულინარიულ ღონისძიებებს: გასტრონომიულ მასტერკლასებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრებსა და ღვინის დეგუსტაციებს; თბილისის მერიამ ორგანიზება/თანაორგანიზება გაუწია 10-მდე ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებას, რის შედეგადაც მოხდა ადგილობრივი კერძო სექტორის წახალისება/ხელშეწყობა და თბილისის 187 ტურისტული პოტენციალის გაცნობა საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებზე; ტურიზმის სექტორის ხელშეწყობის მიზნით, ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა 5-მდე თემატური სემინარი,

რომელზეც გადამზადდა 200-ზე მეტი ადგილობრივი ტურიზმის სექტორის წარმომადგენელი; ასევე, გადახდილ იქნა „ევროპის ქალაქების მარკეტინგის საერთაშორისო ასოციაცია"-ში გაწევრიანების საწევრო გადასახადი.

04 09 ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია

2020 წლის გეგმა - 6.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 99.4%-ით. საანგარიშო პერიოდში ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით ჩატარდა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა და შეთავაზებების განხილვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ'' წარმოდგენილი ინფორმაცია (წერილი №12-03210576-03, 26.02.2021) შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე